


გურთიად
GÜRTIAD



HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ
კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 11 Eylül / სექტემბერი



Nüfus / მოსახლეობა
3 716.9



GSYİH (\$) / მშპ (\$)
4 763.5



GSYH (büyüme) /მშპ
5.1 %



İşsizlik / უმუშევრობა
11.6 %



Enflasyon / ინფლაცია
4.8 %

Korona Virüs კორონა ვირუსი

Son haftada Gürcistan'da kaydedilen korona virüs vakalarının sayısı rekor rakamlara ulaştı. 11 Eylül tarihinde tespit edilen vaka sayısı 87 oldu. 9 ve 10 Eylül tarihlerinde ise vaka sayıları 44 ve 57 sayılarına ulaşmıştır. Bugünkü 87 yeni kovid vakasından 24'ü Kutaisi ile 29'u ise Batum ile bağlantılıdır, 10 hastanın kaynağı ise bilinmiyor. Konu ile ilgili açıklama yapan Başbakan, aslında virüsün ikinci dalgasının başladığını kaydetti.


Epidemiyolojik durumu nedeniyle, Koordinasyon Konseyi belirli kısıtlamaları tekrar gündeme getirdi. 10 Eylül'den itibaren açık havada sosyal etkinlikler (Yıldönümleri, Düğünler ve kutlamalar) yasaklandı. Kültür ve spor etkinliklerine katılacak kişi sayısı 200 kişi ile sınırlandı. Gürcistan'da Tiflis, Kutaisi, Rustavi, Gori, Zugdidi ve Poti gibi büyük şehirlerde tüm kurumlardaki eğitim-öğretim faaliyeti (anaokulları, okullar, üniversiteler) 1 Ekim tarihine ertelendi. Tiflis Belediye Başkanı, Tiflisoba Şenliği (3-4 Ekim) ile ilgili etkinlikleri ve organizasyonları iptal etti.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da korona virüs vakalarının sayısı 1 917'ye ulaşmıştır. Vefat edenlerin sayısı – 19, iyileşenlerin sayısı – 1 354, aktif vaka ise – 544. Halihazırda hastanelerde 390 kişi tedavi görüyor. Son verilere göre ülke çapında 439 848 test yapıldı.

Dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 28 milyonu aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 28 329 999, vefat eden kişi sayısı – 913 934, iyileşen kişi sayısı – 20 345 997. En fazla vakalar ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Peru'da görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია. 11 სექტემბრის მონაცემებით საქართველოში კორონა ვირუსი 87 ადამიანს დაუდასტურდა. 9 და 10 სექტემბერს კი 44 და 57 ადამიანით გაიზარდა ინფიცირებულთა რაოდენობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად, ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა იწყება.

ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე საკოორდინაციო საბჭომ გარკვეული შეზღუდვები ისევ ამოქმედდა. 10 სექტემბრიდან ღია ცის ქვეშ სოციალური ღონისძიებების ჩატარება (იუბილე, ქორწილი, ქელები და სხვა) აიკრძალა. 200 კაცამდე შეიზღუდა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა. სასწავლო პროცესი ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში (ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები) გადაიდო 1 ოქტომბრამდე საქართველოს დიდ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი,



ზუგდიდი, ფოთი. თბილისის მერიამ გააუქმა თბილისობის (3-4 ოქტომბერი) დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 1 917 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 19, გამოჯანმრთელდა 1 354, ხოლო 544 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 390 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მსოფლიოს მასშტაბით კი, დაავადებულთა რაოდენობამ 28 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 28 329 999 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 913 934, ხოლო გამოჯანმრთელდა 20 345 997 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და პერუს ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	6 588 181	196 331	3 880 153	2 511 697
Hindistan/ ინდოეთი	4 562 414	76 304	3 542 663	943 447
Brezilya / ბრაზილია	4 239 763	129 575	3 497 337	612 851
Rusya / რუსეთი	1 046 370	18 263	862 373	165 734
Peru / პერუ	710 067	30 344	544 745	134 978
Kolombiya/კოლუმბია	694 664	22 275	569 479	102 910
Meksika / მექსიკა	652 364	69 649	458 850	123 865
Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა	644 438	15 265	573 003	56 170
Ispanya / ესპანეთი	554 143	29 699	N/A	N/A
Arjantin/ არგენტინა	524 198	10 907	390 098	123 193
Türkiye / თურქეთი	286 455	6 895	255 407	24 153
Gürcistan / საქართველო	1 917	19	1 354	544
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	28 329 999	913 934	20 345 997	7 070 068

Nakliye Sektörleri Tarafından Taşınan Yük Hacmi Artıyor

სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა იზრდება

Gürcistan Milli İstatistik Kurumuna göre 2020 Ocak-Temmuz döneminde taşımacılık sektörünün taşıdığı yük hacmi geçen yıla göre 600 bin ton arttı. Ocak-Temmuz 2020'de taşınan kargo miktarı 22,2 milyon ton olarak kaydedildi. Bu rakam 2019 verilerine göre 21,6 milyon tona eşittir.

Liman ve terminallerde İşlenmiş kargo hacmi 700 bin ton artarak 10,1 milyon tona ulaştı. Bu rakam 2019'da 9,4 milyon tondur. Taşınan kargo hacminin artması ile beraber limanlarda geri dönüştürülen konteyner sayısı azaldı. Ocak-Temmuz döneminde limanlarda işlenen konteyner sayısı 300 785 olarak kaydedildi. 2019 yılına göre bu rakam azalarak 340 768 konteynere ulaştı. (39 978 konteyner -azalma).



Aynı dönemde yolcu taşımacılığında da düşüş gözlemlendi. 2020'nin ilk 7 ayında ulaşım sektörüyle 154,8 milyon yolcu taşınmıştır ve bu rakam bir önceki yılın verilerine göre 60.6 oranında azalmıştır. 2019 yılı Ocak-Temmuz döneminde 215,4 milyon yolcu taşınmıştır.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2020 წლის იანვარ-ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სატრანსპორტო

დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა 600 ათასი ტონით გაიზარდა. 2020 წლის იანვარ-ივლისში გადაზიდული ტვირთების რაოდენობამ 22.2 მლნ ტონა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2019 წლის ამავე პერიოდში 21.6 მლნ ტონას უტოლდებოდა.

საზღვაო ნავსადგურებსა და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა 700 ათასი ტონით გაიზარდა და 10.1 მლნ ტონა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2019 წლის ამავე პერიოდში 9.4 მლნ ტონა იყო. უნდა აღინიშნოს რომ გადაზიდული ტვირთის მოცულობის მატებასთან ერთად შემცირდა ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა. იანვარ-ივლისში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 300 785 კონტეინერი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2019 წლის ამავე პერიოდში 340 763 კონტეინერი იყო (კლება 39 978 კონტეინერი).


კლება დაფიქსირდა გადაყვანილი მგზავრების კუთხითაც. 2020 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში სატრანსპორტო დარგების მიერ 154.8 მლნ მგზავრის გადაყვანა მოხდა, რაც 2019 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით 60.6 მლნ მგზავრით ნაკლებია. 2019 წლის იანვარ-ივლისში კი ეს ციფრი 215.4 მლნ იყო.

Doğrudan Yabancı Yatırım 2020'nin II Çeyreği
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 2020 წლის II კვარტალი

2020 yılının ikinci çeyreğinde Gürcistan'da yapılan doğrudan yabancı yatırımın hacmi 237,8 milyon dolar olmuştur ve bu rakam 2019 yılının ikinci çeyreğine göre %0,5 oranında artmıştır.

En büyük yatırım yapan ülkeler İngiltere - %24,8 (58,9 Milyon), Hollanda - %22,4 (53,2 Milyon) ve Türkiye'dir - %13,3 (31,5 Milyon).

Doğrudan yabancı yatırımın çoğu finans sektöründeydi ve 78,1 milyon dolara ulaştı. Bu tüm doğrudan yabancı yatırımın %32,9'unu oluşturuyor. Bunu ikinci sırada 29,6 milyon dolar ile enerji sektörü ve üçüncü sırada ise 27,7 milyon dolar ile inşaat sektörü takip etmiştir.



2020 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 237.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის II კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 0.5 % ით მეტია.

პროცენტული მაჩვენებლებით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 24.8% (58,9 მილიონი), მეორე ადგილზე ნიდერლანდი - 22.4% (53,2 მილიონი), ხოლო მესამეზე თურქეთი - 13.3 % ით (31,5 მილიონი).

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 78.1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32.9%. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი - 29.6 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობის სექტორი 27.7 მლნ. აშშ დოლარით.

Yasa Değişikliği

საკანონმდებლო ცვლილება



ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
 NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkındaki makale her iki dilde “Nodia, Urumashvili & Partners” şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz, “Nodia, Urumashvili & Partners” şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanan makalesyi bilgilerinize sunarız.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

27 Nisan 2020 tarihinde Gürcistan Parlamentosuna, Gürcistan İş kanununda” değişikliklerin yapılması hakkında kanun tasarısı takdim edilmiştir. Kanun tasarısının amacı, ortaklık anlaşmasının yüklemiş olduğu yükümlülüklerin yerine getirilmesi ve Gürcistan Mevzuatının uluslararası kurumların düzenlemelerine olan yaklaşımıdır.


Kanun tasarısına istinaden ayrımcılık kavramı ve yasaklama kapsamı genişletilecektir. İş sözleşmesinin formu ve içeriği ek düzenlemelere tabi olacaktır. Örneğin; sözleşme, sözleşmenin feshedilmesinin kuralları kapsamlı ve bir aydan fazla süreli yapıldığında mutlaka yazılı olarak yapılacaktır. Belli durumlarda, iş verenin feshetmesi hakkındaki bildirimde personelin görevden alınmasının sebeplerinin açıklayacağı hüküm olacaktır. Personel, davanın geri çekildiği durumda ikinci kez dava açabilme hakkına sahiptir.

İş kanununda yarım gün mesai, normalize çalışma saatleri, staj kavramları yeniden belirlenecektir. Değişikliklerin yapılmasının ardından fazla mesai ücretleri personele normalize çalışma saatlerinin en az %125i olacak şekilde ödenecektir.

Değişikliklerin onaylanması halinde kanun, 01 Ocak 2021 tarihinde yürürlüğe girecektir.

„2020 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტში წარადგინეს კანონპროექტი „საქართველოს შრომის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონის პროექტის მთავარი მიზანია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულაციებთან.

კანონპროექტის თანახმად ფართოვდება დისკრიმინაციის ცნება და მისი აკრძალვის ფარგლები. გათვალისწინებულია, რომ შრომის ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი დაექვემდებაროს დამატებით რეგულირებას, კერძოდ, ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს და გაფორმდეს წერილობით, თუ აღნიშნული დადებულია ერთ თვეზე მეტი ვადით. გარკვეულ შემთხვევაში დამსაქმებელი



ვალდებული იქნება შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაშივე განმარტოს დასაქმებულის გათავისუფლების მიზეზი. დასაქმებულს პირდაპირ ეძლევა უფლება, რომ განმეორებით მიმართოს სასამართლოს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მის მიერ მოხდა სარჩელის გამოხმობა.

შრომის კოდექსი განსაზღვრავს ახალ ცნებებს: არასრული სამუშაო განაკვეთი, ნორმირებული სამუშაო დრო, სტაჟირება. ცვლილების შეტანის შემდგომ ზეგანაკვეთური სამუშაო დასაქმებულს უნდა აუნაზღაურდეს არანაკლებ ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტით.

გათვალისწინებულია რომ ცვლილებები მიღების შემთხვევაში სრულად ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.“

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

USD/GEL – 3.0989

TRY/GEL – 0.4139

EUR/GEL – 3.6679

GBP/GEL – 3.0351

GEL/USD

4 – 11 Eylül 2020



USD/TRY

4 – 11 Eylül 2020



TRY/GEL

4 - 11 Eylül 2020



ALTIN – 62 470,31 kg/usd

4 - 11 Eylül 2020

